

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სამცხე–ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტი

სატენდერო დოკუმენტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით
განათებული ნიშნების და სახელის შემცვლელი ფირფიტების
(პოლიციის წარწერა) შესყიდვა მონტაჟით

CPV - 31500000

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „ გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.
1.2. გამარტივებული ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
1.3. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია. ამასთან, ქართულ ენოვან ტექსტში უცხოენოვანი სიტყვ(ებ)ის გამოყენების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს აღნიშნული სიტყვ(ებ)ის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის თაობაზე.
1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედ დასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
1.5. პრეტენდენტის მიერ მექანიკური შეცდომის დაშვების შემთხვევაში, როგორიცაა არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, შესაძლებელია შესწორდეს დაზუსტების გარეშე, ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, მხოლოდ იმ პირობით თუ აღნიშნული არ აღემატება სისტემის შესაბამის ველში და ფიქსირებულ საბოლოო ფასს.
1.6. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
1.7. იმ შემთხვევაში თუ სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქონლო ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და„ ექვივალენტურის“ მნიშვნელობით დაპრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონე საქონელი/მომსახურება.
1.8. ვინაიდან პრეტენდენტებისათვის სატენდერო წინადადების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ხელშეკრულება გაფორმდება ლარში.
1.9. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.
1.10. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
1.11. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ამასთან, სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა N91, მე–4 სართული. საკონტაქტო პირები: მინდია მარტიაშვილი ტელ.: 577 53-96-36; ნათია პაშჩენკო ტელ.: 577 52-72-55.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია:

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები მწარმოებელი ქვეყნის/ კომპანიის მითითებით	განზომილება	რაოდენობა
1	პოლიცია გერბი POLICE	(სიმაღლე 60სმ) აბრის მასალა: ორგმინა წითელი, პევეხა, ლითონი, ორაკალი, დიოდი, ტრიმი. გერბის მასალა: თეთრი ორგმინა, სტიკერი, დიოდი, ტრიმი, ლითონი , პევეხა. საგარანტიო ვადა 1 (ერთი) წელი.	ცალი	1
2	პოლიცია 112 POLICE	(სიმაღლე 50სმ) აბრის მასალა: ორგმინა წითელი, პევეხა, ლითონი, ორაკალი, დიოდი, ტრიმი. 112 წარწერის მასალა: წითელი ორგმინა, სტიკერი, დიოდი, ტრიმი, ლითონი, პევეხა.	ცალი	1
3	პოლიცია გერბი POLICE	(სიმაღლე 44სმ) აბრის მასალა: ორგმინა წითელი, პევეხა, ლითონი, ორაკალი, დიოდი, ტრიმი. გერბის მასალა: თეთრი ორგმინა, სტიკერი, დიოდი, ტრიმი, ლითონი , პევეხა.	ცალი	1
	მთლიანი ჯამი			

შენიშვნა: 1. შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ და ბორჯომის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობებზე ჩასატარებელია სიმაღლეზე სამუშაოები.

2. საგარანტიო ვადა 1 (ერთი) წელი.

2.2 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:

2.2.1 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 6250.00 (ექვსიათას ორასორმოცდაათი) ლარს.

2.2.2 შესყიდვის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოს ბაზარზე ოპერირებად არაერთ კომპანიას შეუძლია შემსყიდველს კონკურენტუნარიან ფასში შესთავაზოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კონკურენციის გაზრდისა და ხელსაყრელი ფასის მიღების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების მე-9 მუხლის 1^1 პუნქტის საფუძველზე, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტი წინამდებარე ტენდერში არ მოითხოვება.

2.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი:

2.3.1 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.3.2 მიწოდების ადგილი: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა #91;
დ.აბასთუმანი, ლ. ასათიანის ქუჩა #39;
ქ. ბორჯომი, წმინდა ნინოს ქ. #7.

2.4 სატენდერო წინადადების ფასი:

2.4.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.4.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

2.5 ანგარიშსწორების პირობები:

2.5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება, საქონლის მიწოდებიდან კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **15** კალენდარულ დღეში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

2.5.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

2.5.3 **დაფინანსების წყარო - 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

2.6 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.6.1 მისაწოდებელი საქონლის ფასების ცხრილი დანართი N:1-ის მიხედვით.

2.6.2 რეკვიზიტები დანართი N:2-ის მიხედვით;

2.7 დამატებითი ინფორმაცია:

2.7.1. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

ხელშეკრულების პროექტი

(კონკრეტული პირობები დაზუსტდება სატენდერო წინადადების შინაარსის გათვალისწინებით)
ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი“___“ _____” 2016 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ **შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტსა** (მის: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №91, საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 30 01 01 11, საიდ. კოდი - ს/კ 224072606 (შემდგომში ,,შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე: შემსყიდველმა გამოაცხადა SPA _____ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტისა და მისდამი დაქვემდებარებული დანაყოფების ადმინისტრაციული შენობებითვის პოლიციის წარწერების შესყიდვის მიზნით, კლასიფიკატორის CPVკოდი: 31500000 – (გასანათებელი მოწყობილობების და ელექტრონათურები), რომელშიც გამარჯვებულად გამოცხადდა ----------

- ხელშეკრულების სავარაუდო ფასია ----------.
- - ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
- ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
- ბ) მისაწოდებელი საქონელის ან/და გასაწევი მომსახურების განფასება (დანართი #1).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") -შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პი ვ რს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6. ,,ტექნიკური დოკუმენტაცია“ - მიმწოდებლის მიერ SPA----------გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.2. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ხელშეკრულების თანმდევი დოკუმენტები :

2.1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) განათებული ნიშნების და სახელის შემცვლელი ფირფიტების (პოლიციის წარწერა) ტექნიკური სპეციფიკაცია და ფასების ცხრილი (იხ. დანართი N:1);

ბ) **SPA**----------გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია.

3. ხელშეკრულების არსებითი პირობები

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელი დანართი N:1-ით განსაზღვრულ ვადებში და ადგილზე.

3.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს XXXX წლის XXXXXX ჩათვლით.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს, მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით, დანართი N:1-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

6. წუნდებული საქონელი

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში აღწერილ მონაცემებს.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

6.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ინსპექტირების ჯგუფი). კერძოდ, შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (სამმართველო) საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ირაკლი მერაბიშვილი.

7.2. ინსპექტირების ჯგუფი საქონლის მიწოდების ინსპექტირებას ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ.

7.3. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით-საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

7.4. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი საექსპერტო კვლევა.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. მისაწოდებელი საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიწოდების ადგილის მიხედვით.

8.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მიწოდებად არ ითვლება წუნდებული ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო საქონლის წარმოდგენა. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულზე მიღება-ჩაბარების აქტი არ ფორმდება.

8.3. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები - შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (სამმართველო) საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტი (საწყობის გამგე) რამაზ მოდებაძე.

8.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

9. ანგარიშსწორება

9.1. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

9.2. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

9.4. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

9.5. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება, ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის მიხედვით. მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს **15** კალენდარული დღის ვადაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N:9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის'' მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10.4. ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.5. ხელშეკრულების ღირებულების შემცირება დასაშვებია ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების გათვალისწინებით.
10.6. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო რაოდენობის გაზრდა ან შემცირება, ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, ხოლო რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეულის ფასი არ გაიზრდება.
10.7. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც განხორციელებულია ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
11.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების პირობების ამ მუხლში.
11.3. თუ მიმწოდებელი 7.3 ან 7.4 პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ უზრუნველყოფის ინსპექტირების მიზნით წარმოდგენილი ეგზემპლარების შესაბამისობას ხელშეკრულების პირობებთან, შემსყიდველი შეწყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმებს მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო თანხის **10%**-ის ოდენობით.
11.4. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების პირობებს ვერ შეასრულებს (შესრულების ვადა, ხარისხი) ან/და დაარღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის **10%**-ის ოდენობით ან
ბ) ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების ან 7.2 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **1,65%**-ის ოდენობით.
11.5. თუ კი ხელშეკრულების 12.4. „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადის ფარგლებში პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების **5%** და იგი ვერ განახორციელებს საქონლის სრულად მოწოდებას, და/ან არ გამოასწორებს აღმოჩენილ ხარვეზს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის **10%**-ის ოდენობით.
11.6. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.7. ამ მუხლის 12.6. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

14. სხვა დებულებები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.
14.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

შემსყიდველი: / /

მიმწოდებელი: / /

დანართიN:1

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება და ძირითადი მახასიათებლები (ტექნიკური მახასიათებლების მწარმოებელი ქვეყნის/ კომპანიის მითითებით)	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1		ცალი	1			ხელშეკრულების გაფორებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში	ქ.ახალციხე, რუსთაველის ქუჩა #91
2		ცალი	1				დ.აბასთუმანი, ლ. ასათიანის ქუჩა #39;
3		ცალი	1				ქ. ბორჯომი, წმინდა ნინოს ქ. #7.
მთლიანი ჯამი							

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი----------

დანართიN:2

პრეტენდენტის იურიდიული ფირმის დასახელება;

ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

პრეტენდენტისი ურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;

საიდენტიფიკაციო კოდი;

ბანკის კოდი;

ანგარიშის ნომერი;

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;

ელექტრონული მისამართი;

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი